№ 3        1 თებერვალი. 1863 წ.        № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

# გუთნის-დედა

გამოიცემა ორკვირაში ერთხელ [illegible] მანეთი [illegible]

## მამულის პატრონობის და გაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

უფ. ანანოვის ფერმა ვარცისში.

**1860** წლის ბოლოს, კამმერციის სოვეტნიკმა ანანოვმა იყიდა ტორგით ქუთაისში მამული, ვარცისის სოფლის მახლობლად. სადაცა ერთვიან ორნი მდინარენი ერთად: ყვირილა და რიონი. ეს მამული მდებარეობს ქუთაისითგან თხუთმეტს ვერსზედ; ანანოვმა იმ აზრით იყიდა, რომ კარგათ შეემუშავებინა, ზემოხსენებული მამული, რომელიცა არის ხუთი ათასი დესეტინა. ოთხი ათას შვიდას დესეტინაზედ ტყე არის გაბმული, დანარჩენი სამასი ათასი დესეტინა ტიტველა მინდორია, რომელზედაც შეიძლება მოიყვანოს კაცმა სხუა და სხუა გამოსაყენებელი მცენარე. რასაც საჭიროება მოითხოვს მამულის შემუშავებისათვს ყოველი ფერი მოიმზოვება იმ მამულზედ, ამისათვს ანანოვმა მიჰქონდა კელი ყველ იმ საგანს, რაც საჭირო იმერეთის მხარეზედ და რაც უფრო იმერეთისათვის გამოსაყენებელია.

ყველამ ვიცით, იმერეთი იმისთანა ჰავაწყლიანი, იმისთანა ნაყოფიერი ქვეყანა, მამულის მოვლისათვის, რომ მეტი არ შეიძლება. ერთი გვარი ჰავა არის, როგორც იმერეთში, ისე სამხრეთის ფრანციაში. ჩრდილოეთის იტალიაში და სხვაგან, რომელნიცა არიან აღყვავებულს მდგომარეობაში, თავიანთის ყოვლის ფრით შემოსლუდვილის მამულის საჭიროებისათვის, რომლის თვისების და ჰავიანს ევროპიის მამულზედ მოჰყავთ ჩინებული ფრანცუზული და იტალიანური აბრეშუმი, ერბო, ყველი და სხუა, ისივე თვისება მიწისა, ისივე ჰავა და მოწყობილობა აქუს იმერეთსა. რასაკვირველია კაცის მომჭირნეობით არიან, მოსავალით მდიდარები, იქაური მამულის

მეპატრონეები.

უპირველესი მოსავალი იმ ქვეყნებში იმ გუარი მცენარეა, რომელნიცა გამოსაყენებელნი არიან ქარხანებში, მაგალითად ავიღო შაქრის ჭარხალი. ჭარხალი მოჰყავდათ ადრეცა, მაგრამ კელის შეწყობა ვერ იცოდნენ კარგათ ამისთვის, რამოდენიც საჭირო იყო. ახლა მსწავლულებმა დიდის შრომის და გამოცდილების შემდეგ შეიტყეს, რა გვარი მოვლაც უნდა ჭარხლის მოუყვანასა. რადგანც ახლა მიხვდნენ, ჭარხლითგან გამონაცემ სიტკბოებისათვის, რა გვარი ზედამხედველობა უნდა, ევროპაში მრავალი გაიმართნენ შაქრის ქარხანები, მაშინ, როდესაც რომ ამ ორმოცის წლის წინათ, რომელიც თავი ჭარხალი იყო იქიდგანაც არ გამოვიდოდა **8** % შაქრის სიტკბოება. ახლაკი მოჰყავთ ჭარხალი, ისეთის ხელოვნებით, რომ გამოდის შაქრის სიტკბოება **15** და **16** %.

ამ გვარადვე საჭირო იყო მომჯირნეობა ამერიკანელების მემამულეთათვის, რომ უკეთესად მოეყვანათ ბამბა ქაღალდისათვის. აქედან ქაღალდი გააქვთ ბევრს ქალაქებში, ლივერპული და მანჩესტერის ქალაქი ამ ქაღალდით მრიელ გაკეთებულია და აღყვავებულს მდგომარეობაში. რამდენი კიდევ სხვა მაგალითები ვიცით, ვინ მოსთვლის. ამას შემდგომს, როგორ არ უნდა ვსთქვათ, რომ დიდი სამსახური მიუძღვის ხალხთან იმას, ვინც შემოიტანს იმ დაწყობილებას, იმ გვარ მამულის მოვლას, იმ გვარს მომჯირნეობას და მუშაობას, დაწინაურებულის ამ საუკუნეში ევროპიითგან, იმერეთში.

უპირველესი ნაკლულევანება მამულის მუშაკებისათვის, იმერეთში, არის მიწის იარაღი, რომელსაცა ხმარობენ ამ მხარეზედ. გუთნით შეიძლება შევიტყოთ, როგორს მდგომარეობაშიაც არის იმ ქვეყნის მამული. იმერეთისათვის მრიელ საჭიროა კარგი სახნავი გუთანი. ამ აზრით ანანოვმა მოატანინა ოცი გომენგეიმის გუთანი, რომელიცა ხნავს **2**-ის ვერშოკიდგან **5** ვერშოკამდის სიღრმეზედ. ამასთანავე უნდება ერთი უღელიანი კარგი ხარი ანუ ორუღელა ხარები. ეს იმ გვარი გუთანია რომლის მოსმარება ყველას შეუძლიან და მრიელ იაფიც არის. ეს გუთანი იმერეთს დიდს სარგებლობას მოუტანს. ბევრს მებატონეს გაუსინჯავს ამ გუთნით მოხნა და რა მოუწონიათ ბევრს დაუბარებია. იმედია მოკლეს ხანში განმრავლდეს ეს გუთანი იმერეთში.

დიდს სიკეთეს დაავალებს იმერეთს, ვინც შეჰცვლის აჩაჩს, სხვა რომლისამე უკეთეს იარაღით, რომელიცა უფრო მოუხდებოდეს იმერეთის მიწას. ამას გარდა იმერეთში ბევრი იმ ნაირი ბალახია, რომელიცა უნდა დაითესებოდეს რიგ-რიგად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობით და არა გაფანტვით, როგორც მოსვლება. ამისათვის დაბარებული იყო სათესი გარრეტის მაშინა. ეს მაშინა გამოსცადეს სიმიდის და სორგოს დათესვაში, და მოსავალი მოვიდა საკმაოთ, უმეტესად სიმინდი; რომლისათვისაც უფრო საჭიროა წყობით დათესვა. წყობით დათესვამ ძრიელ გაუადვილა გამარგვლა მაშინებს, რომელიცა მოატანინეს უბრალო ბალახის მოსასპობად. ეს მაშინები არის: ტერნერისა ცხენით გასამარგლი თოხი და გოგენგეისა სამარგლი. უკანასკნელი იარაღი უფრო სასერგებლო არის იმერეთისათვის ასე, რომ მაისში გამარგლილი ბალახი; სისწრაფით იდგამენ ძირებს, ქარს ეწინააღმდეგებიან ისე, რომ **1862** წელწადს, მიწასთან გაასწორა სიმინდის მოსავლის მესამედი ნაწილი. ეს იარაღები ვერ მოიხმარეს უ. ანანოვის მამულზედ, ისე როგორც უნდოდათ რადგან სწორე ალაგი არ არის, და ამ იარაღებისათვის სწორე ალაგია საჭირო.

მაისის ბალახის გასამარგლავად სხვათა შორის დაიბარეს ორი მიწის შემუშავების, იარაღი რომელნიცა გაკეთებულები არიან ბორდოს ქალაქში გალდიეს ქარხანაში. ეს მაშინა საჭირო იყო იმერეთისათვის, სადაცა ითესება სიმიდი; რომელსაცა ხმარობენ მცხოვრებნი საჭმელათ. ბევრნი იმერეთის მებატონენი გაჰკვირდნენ როდესაც ნახეს, ეს პატარა მაშინა ისეთის სისწრაფით აშორებდა მარცვლებსა სიმიდის ღეროს. დღეში ასს ფუთს მარცვალს აშორებს, რომელიც გამოდგება დასათესად. ეს მაშინა ძრიელ გაუადვილებს მცხოვრებთ ცეხვასა. ეს მაშინა პირველად მოატანინა იმერეთში უ. ანანოვმა და რა კავკასიის მამულის მოვლის გამგებელობამ, რომლისაცა მადლობა გვმართებს, მოატანინა საქართველოში, დიდი მნიშვნელობა მიიღო აქაცა.

რადგანაც უ. ანანოვს სახეში ჰქონდა, მოეყვანა თავის მამულზედ ბამბა, ამისათვის მიატანინა მაშინა თესლის გასაწმენდათ. ეს მაშინა გაკეთებულია პირველის მექარხანის დენლოპოსაგან მანჩესტერის ქალაქში. ეს მაშინა ადრენდელზედ ესე არის გარჩეული რომ, რამდენიმე სერხის ნაცვლად, გაკეთებული აქვს ერთი დიდი დანა. ვიტნეის მაშინასა სჯობს თავისის სისრულით ეს დენლოპის მაშინა. ვიტნეის მაშინა ისე ჰგლეჯავს თესლს ბანბას, რომ ასდენს, დენლოპის მაშინა აშორებს ბანბას თესლსა ისე, რომ სრულებით არ ახდენს. ამ მაშინის ღირსება აღმოჩნდა ქუთაისის ბაზარში, სადაცა ერთის მანეთით მეტად დაფასდა ბამბა ამ მაშინით გამორჩეული, იმ ბამბაზედ, რომელსაცა არჩევენ ადგილობრივის ჩვეულებით. ერთია მხოლოდ სამწუხარო: ეს მაშინა ისე

არის მოწყობილი, რომ დიდი ძალა უნ-
დება თვლის დაბრუნებაზედ. უფრო იმისათ-
ვის არის ძნელი, რომელიცა არ არის
შეჩვეული. სამი და ოთხი მუშა კაცი
დღეში ფუთს ნახევარს ძლივს არჩევდნენ
ამ მაშინითა იმერეთში. ეს მაშინა რომ
იდგეს სხვა მაშინებთან, რომელნიცა წყა-
ლით მოდიან მოძრაობაში, ან კიდევ
რომელთაცა ამუშავებს ორთქლი, მაშინ
ძრიელ სასარგებლო რამ იქნება.

ამ უმთავრესის იარღების გარდა მო-
ტანილია, გასანიავებელი ვერრატისა. ეს
იარაღი პირველია საქართველოში, სადაც
ვერ ანიავებენ პურს თუ კარგი ამიდი არ
არის. ამ იარაღისათვის საჭირო არ არის
ამიდი, როგორიც უნდა დღე იყოს ანია-
ვებს ხელოვნებითის ქარით. ბზე ცალკე
მიდის და მარცვალი ცალკე. აგრეთვე
მოტანილია კელის წისქვილი ტერნერისა,
რომელიცა ფქვამს ერთის კარგის მუშის
შემწეობით დღე და ღამ თორმეტს ფუთსა,
ამასთანავე სამ ნაირსა: წმინდათ,
შუათანად და მსხვილად. ეს წისქვილი ძრი-
ელ საჭირო არის უმეტესად იმ სოფლი-
სათვის, სადაც არა აქუსთ წისქვილები.
ადვილი გადასატანია ეს წისქვილი და
ამასთანავე იაფი. რამდენი კიდევ სხუა
წვრინმალი იარაღი აქუსთ მოტანილი:
სათიბი, სალეწი და სხ. რაც რომ საჭი-
რო წვრილმანია ყოვლის ფერი აქუს შემო-
ტანილი ჩვენი ქვეყნისათვის.

იმერეთში, მიწის მოსამუშავებელი ია-
რაღი სომ მეტად სამწუხარის მდგომარე-
ობაშია,- უფრო მეტს სამწუხარო მდგო-
მარეობაში არის პირუტყვთ მოშენება.
იმერეთის ჯინშის საქონელი მეტად
პატარას ტანისა არის და ამასთანავე
სუსტის ძალისა, იმისათვის კი არა,
რომ საჭმელი არ მოიპოვება მესაფერი.
პირუტყვთათვის გამოსაკვებად უკეთესი
მხარე არ იქნება, როგორც იმერეთი. საკ-
მაოა ტყე და ყოველთვის ტფილი ზამთ-
არი აი უმთავრესი საჭიროება პირუტყვის
მოსაშენებლად. ზამთრივ ტყეში იკვებება
საქონელი და სრულებით არ ინახავენ
ამ მხარეზედ თივას საქონელისათვის.
ზოგჯერ, როდესაც ძრიელი ყინვებია
საქონელი შინა ჰყავთ და სამი ოთხი
დღე მშიერი უდგათ.

კარგი ჯინშის საქონლის გასაშენებლათ
მოყვანილი ჰყავს ანანოვს ჰოლლანდიით-
გან ერთი ბუღა და ერთი ძროხა. ჰოლლა-
ნდიითგან ამისათვის მოაყვანინა, რომ
იქაური მიწის მდებარობა და იმერეთისა
ერთგვარია ზოგიერთში. როგორც ქუთაი-
სი, ისე ჰოლლანდია მდებარეობენ ზღვის
მახლობლად; ორივე მხარეზედ ნამიანი
ჰაერია და იცის მაღალის ტანის ბალახი.
ჰოლლანდიის ძროხა ყველა ევროპისჯინშის
ძროხაზედ ბევრს იწველის. მხოლოდ

ჭავით არის იმერეთი განსხვავებული გოლანდიაზედ. აქაური სიცხეები იქ არ არის. ზოგჯერ იმერეთში სიცხე **52** გრადუსზედ ადის; გოლანდიაში თავის დღეში არ იქნება ამისთანა სიცხე. ამისათვის, ცდილობენ განამრავლონ ნამდვილი გოლანდიის ჯინშისა კი არა: გოლანდიის ჯინშისას უშვებენ მეგრელიის ძროხაზედ, რომელიცა არის მაგარი, ბევრსაც იწველის და მოსაწრდოც არის. ამათ შენახვისათვის საჭიროა რასაკვირველია ზამთარით ტფილი სადგომი და საკმაო საჭმელი, რომლისათვისაც მიღებული აქვს ლონის მიება. რადგანაც იქაური ბალახი, ადგილობრივ, ისე ნოყიერი არ არის, როგორიც საჭიროა, ამასთანავე ზაფხულში ხმება ცხარის მზისაგან, როგორც მოხდა **1862** წელიწადს, ამისათვის დათესეს იონჯა, რომელიცა გაითიბა ერთს ზაფხულს სამჯერ. ახლა ცდილობენ ეს ბალახი გაახშირონ. რაც ბალახეულია იმერეთში, ლერწმის გვარეულია, როდესაც ბალახის გათიბის დროა, ვერა სთიბაბენ, რადგანაც სიმიდს არას ავნებს და ამ სიმიდს მორეული აქვს ეს ბალახეული. სიმიდის შემოსვლის უკან მოთიბული ბალახი, ანუ ჩალა ინახება ზამთარში პირუტყვის გამოსაკვებათ.

სხვათა შორის პირუტყვთა, იმერეთში შესანიშნავია, ღორის მოშენება. რაც რამ ტყე არის იმერეთში, სულ მუხით სავსეა, მაშასადამე პირველი ღორების გამოსაკვები ალაგია იმერეთი, მაგრამ, თუმცა საჭმელი აქუსთ საკმაო ღორებს იმერეთში, მაინც მრიელ გვიან იზრდება ღორი, ისე რომ სამს წლამდინ ძლივს მიაწევს სრულს ასაკში. ანგლიჩანებმა მოიპოვეს იმისთანა ჯინშის ღორი, ამასთანავე ისეთი ხელი მოუწყეს და ისეთი მოვლა იციან, რომ ერთს წელიწადზედ ღორი იზრდება, და სრულს ასაკში მოდის. ეს ჯინშის ღორი არის ლეისტერის ჯინშისა, რომლის ჯინშისაც მოაყვანინა ორი უ. ანანოვმა, ვარციხეში მოსაშენებლათ. მრთელი ზამთარი და ზაფხული გაატარეს ამ ღორებმა უზიანოდ. ეს ღორები შერივეს რუსულის და იმერეთის ჯინშისაში და მიიღეს სრულებით ლეისტერის ბჯინშის თვისება პატარა ღორი დაბადებული ვარციხში ისე იზრდება, როგორც ლეისტერის ჯინშისა, თავისს ბუნებითს ალაგს. ჯაგარი, თუ ტანი თუ მოუყვანილობა და სანასაობა ჩინებული აქუს.

აგრეთვე მოაყვანინეს ლეისტერის ცხვრები. ჯერ კი არ ვიცი, ბოლო როგორი ექნება ცხვარსა. რადგანაც ნამიანი მხარეა, სიცხეებიც იცის იმერეთში, ამას გარდა არც გამოსაკვები მთა აქვს საგრილობლად, ამისათვის არა მგონია იმ ჯინშის ცხვარმა თავი შეიმაგროს აქა.

უ. ანანოვმა ქათამიც კი არ დააგდო

რომ არ მოეყვანინებინა უცხო ჯინშისა. კოხინხინითგან და ანგლიითგან მოაყვანინა რამდენიმე მამალი, მაგრამ მოსულობით არ არიან დიდროანები; შორაპანის უეზდის ქათამი ბევრით დიდროანნი და გემრიელნიც არიან კოხინხიანისაზედ. ერთი სიკეთე მხოლოდ აქვს კოხინხინის ქათამს განსხვავებაჲ-ძრიელ მალე იზრდება. შორაპანის ქათამს ტანი ამისათვის უჩანს დიდი, რომ გრძელი ფეხები აქვს.

ამ სახით, უფრო ანანოვი შეიმუშავებს თავის მამულს, რომელიცა მინამ იყიდა ხელ შეუხებელი იყო. პირველს ღონის მიებას ხმარობს ის თამბაქოზედ, ბამბაზედ. ძრიელ ბევრიც მოჰყავს. ტფილისის ვისტავკაში წარმოადგინა ბამბა, ხიმიდი და ზოგი სხვა რამ, რომლისათვისაც მამულის მოვლა საზოგადოებამ ჯილდოდ მისცა ქების მოწმობა, ამას გარდა წარადგინა საქვეენო ვისტავკაში **1862** წელს გაწმენდილი ბამბა და ოსმალური თამბაქო, რომლისათვისაც მოუვიდა ჯილდოდ პირველისათვის მედალი, და მეორესათვის ქების მოწმობა. აი, სამი ჯილდო მიიღო უფ. ანანოვმა, პირველსავე მამულის შემუშავების დაწყობაში.

მარტო იმაში კი არა მდგომარეობს უფ. ანანოვის ფერმის სარგებლობაჲ, რომ მიდიან მრავალნი და რა ხედვენ ასე გაწყობილობასა, თვითანაც სწავლულობენ. ამას გარდა აქა მზადდებიან მუშა კაცები, რომელთაცა იციან, როგორ შეიმუშავონ მიწა, ან როგორ მოიხმარონ სხვა და სხვა გვარი იარაღი, ან როგორ მოუარონ საქონელსა. გაწვრთნილს მუშა კაცში ჩვენ დიდი საჭიროება გვაქვს.

რაც შეეხება ტყეს, მიღებული აქვს ღონის მიებაჲ, რომელი გაიყიდოს, ან რომელიც უნდა გაიკაფოს. პურის გასაწმენდათ ზოგი ერთს ალაგებში ველები აქვს გაკაფული. ერთის სიტყვით, პატრონის სურვილი ისკი არ არის, რომ გაკაფოს ტყე, იმას უნდა გაამშვენიეროს და თავისუფლად მზრდელობა მისცეს. ამისთანა ჩინებული ტყე, მრთელს იმერეთში არავისა აქვს.

ი. ს.

**20** იანვარს.
**1863** წ.

---

შემწეობის მიცემა მოულოდნელს უბედურების შემთხვევაში.

ამერიკის ქალაქში ნიუიორკში ადათათ აქვთ დადებული, რომ რვა დღესედ ადრე არავინ დამარხონ მკვდარი და ვინც მოკვდება მიაქვთ და ასვენებენ მანამ რვა დღის ვადა გადავიდოდეს ცალკე აშენებულს სახლში, რომელსაცა ჰქვიან მისვენებულის სახლი. ამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლში ათასის შეტანილი კაცისაგან ბრუნდება ყოველთჳს ხუთი კაცი მაინც, და ბევრი ამ მობრუნებულთაგანი სრულიად რჩებიან ავასმყოფობისაგან და ცოცხლობენ შემდეგ დიდხანს. თუ ამ გვარი სიფრთხილე არა ყოფილიყო, ეს ხუთი კაცი გამოიღჳძებდნენ საფლავში და მაშინვე დაისოცებოდნენ აუტანელის ტანჯვითა ცოცხლად დამარხულნი, ამისთჳს არ უნდა ენდოს კაცი ჩვეულებრივ სიკუდილის ნიშნებსა, ნამდვილი ნიშანი არის მხოლოდ ორი: 1) აყროლება და ლპობა სხეულისა. ექვსი კვირის მკვდრათ მდებიარობა ყოფილა მაგალითი, თუმცა ბევრი კი არა, რომ ამთენ ხანს კაცი დებულა უძრავათა და უსუნთქავათ და მერე ისევ გაცოცხლებულან. ბევრი წილი მიბნედილი ბრუნდება სამი დღის განმავლობაში და ეს არის მიზეზი, რომ ჩუენი რჯული უკრძალავს სამ დღეზე ადრე დამარხვასა. ამ რჯულს არავინ უნდა გადასცილდეს, ვისაც არ უნდა რომ ცოცხლად დამარხოს კაცი.

შებნედა მოხდება ხოლმე თჳთ დაბადებაშივე. თუ დაბადებული ახლად ყმაწჳლი არა ფეთქავს, მაშინვე მკვდრათ არ უნდა ეგონოთ, და უნდა ეცადნონ იმის გაცოცხლებასა. თუ ამ დროს ყმაწვილი დაიბადა შებნედილი და ფერ დაკარგული, მაშინვე უნდა ჩასვან ნელ ტფილს წყალში, რომელშიაც ჩაასხსან მმარი და არაყი და ყმაწვილი ხელით ჰზილონ ნელ-ნელა; პირი უნდა გაუწმინდონ, ცხვირში მოუჭირონ და ჩაჰბერონ პირში ჰაერი, როგორაც ჰსუნთქვენ. შემდეგ უნდა ამოიყვანდნენ წყლითგან, ცოტა ცივს წყალს შეასხამდნენ და ისევ ჩასვამდნენ წყალში. ტფილი წყალი და მარილის ჰქონაც კარგია ამ შემთხვევაში. თუ შებნედილათ შობილსა პირი გაბურთული აქვს და ლურჯწითელი, იმას უნდა ჭიპიდამ ორი სტოლის კოვზისტელა სისხლი ადინონ და მერე შეუკრან. შემდეგ ისევ ეს საშვალობა იხმარონ, რაც ზემოთ არის მოხსენებული. ჭიპი უნდა შეუკრან მაგარი მაფითა, ორჯერ შეჰკრან მაფი, და ჭიპს მისცენ ორი გოჯი სიგრძე. ამ შეკრული ადგილითგან ორ გოჯზე ზემოთ კიდე უნდა შეჰკრან ჭიპი და მერე ამ ორი შეკრულის ადგილების შუა გაჰსჭრან მაკრატელითა.

---

### წყალით დამრჩვალთ შველი.

რაკი კაცს ჩასმირავს წყალი, სანდასან რამდენიმე მინუტის შემდეგ მოკვდება, მაგრამ ყოფილა იმისთანა შემთხვევაცა, რომ კაცი ოცის საათი წყალში ნამყოფი კიდევ გაცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებინოთ. ამისთვის რას სწამს რომ გამაიტანონ წყლითგან დამრჩვალი, მაშინვე უნდა შეუდგნენ გაცოცხლებასა, თუ არა აქვს ცხადი ნიშანი სიკვდილისა. წყალში დამრჩვალის მიბნედის მიზეზი ის კი არ არი ვითამც ბევრი წყალი ჩაეყლაპოს და სასულეში ჩავარდნოდეს, მიზეზი არის რო უჰაერობით ვერ უსუნთქია და დამრჩვალა, აქედამა ჰსჩანს, რომ სრულად უსარგებლოა დამრჩვალის ქანება და რწევა და ბევრჯელ დიდად მავნებელიც არის; მრავალი ველარ გამოფხიზლდება მხოლოდ ამ რწევის მიზეზითა და მომკვდარა.

წყლითგან გამოტანილი დამრჩვალი უნდა დააწვინონ რბილ საწოლზე, მარჯვენა მხარეზედ, წმინდა ჰაერში და ისეთ ადგილას, რომ არც ციოდეს და არც ცხელოდეს, ტანთ გახადონ, ზედ მისურონ რამე, პირიდამ და ყელიდამ მოსწმინდონ ქაფი, ქვიშა და სხ. თუ ნესტოები ქაფითა აქუს სავსე, პირში ჩაჰბერონ და ქაფი გამოაყრევინონ. შემდეგ ნელნელა გაათბონ მებნედილი. ამ ნელნელა გათბობაზე ჰკიდია იმის გაცოცხლება. ამისათვის დიდხანს და მალიან უნდა უსონ ტანზედა მაუდის ანუ შალის ნაჭერი, ანუ ჩოტკი და შემოახვიან გამთბარი ტანისამოსი. ამასთანავე კიდევ გაუწმინდონ პირი და ცხვირი, ჩაჰბერონ ბევრჯელ სული, მინამ თითონ არ დაიწყოს სუნთქვა. ჩაუწვეთონ პირში რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტისა ანუ ასუნებინონ ქაფური ანუ მაგარი. როცა გონზედ მოვიდეს და თუ ამისთანა პირისახე აქუს ლურჯ წითელი ანუ შავი, მოუკიდონ წურბელა ათიდამ ოც და ათამდე ჰასაკის შესაფერად. როცა შეიძლოს წყალღვინო დაალევინონ ანუ თბილი ჩაი.

მეხ დაცემულის შველა: უნდა გახადონ ტანისამოსი, პირზე და გულზე შეასხან ცივი წყალი, საფეთქელში, გული და წელი დაუზილონ სპირტითა, მისცენ ცივი ჰოენა, ჩაბერონ პირში სული, დაუზილონ მთელი სხეული, ანუ ამოთხარონ გრძელი სარო, შიგ ჩააწვინონ და ზედ ერთმტკაველზედ მიწა წააყარონ პირის გარდა და ესე ჰყვანდეთ ორსაათ ანუ მინამ გაცოცხლდებოდეს. მერე ასვან ცივი წყალი მარტო, ან ღვინითა. სისხლის გამოშვება აწყენს.

შველა ნასმირის სუნისაგან მებნედილისა: თუ სრულად გული შეღონებია და გონი დაჰკარგვია, უნდა გამოიტანონ გარეთ, ტანთ გახადონ, შეასხან წყალი თავზედ, პირზედ და გულზედ, დაუზილონ ტანი ღვინითა ანუ სპირტითა, მისცენ ჰოენა ცივიწყლისგან და მარილ გარეულისა, ასუნებინონ ნიშადურის სპირტი და პირში ჩაბერონ სული. თუ ესენი არა შველის და პირი გაწითლებული აქუს, უკანტანზედ მოჰკიდონ წურბელები; და როცა მობრუნდეს, კოვზით

ჩაელაპონ ღვინო, ანუ წყალი ნიშადურის სპირტიან არეული.

ამგვარადვე მოიქცნენ, როცა კაცი შებნედილა სხვა ცუდი რამ სუნისგან ანუ ფესის ადგილში, ანუ სარდაბში, ქვევრში მაჭარის დუღილის დროს და ანუ ახალ გალესილ სახლში.

როცა კაცს ცხვირიდამ სისხლი ვერ შეწყვეტია, უნდა დაწვეს პირდაღმა, სვას ცივი წყალი ლიმონითა ანუ მმრითა, წაუსვას ხელსახოცზედ კვერცხის ცილა, ზედ მოაყაროს დანაყილი შაბი და ის ცხვირზედ მიიდოს.

როცა კაცმა დაიწოს რომელიმე ასო ცეცხლით ანუ მდუღარის წყლითა, არას დროს ტყავი არ უნდა მოაშოროს დამწვარ ადგილსა, დაიდვას ბამბა ანუ დაჩეჩქილი კარტოფილი და როცა ტკივილი დაუწყნარდეს, დაიდვას მალამო შეზავებული ნახევარი სელის ზეთითა და ნახევარი კირის წყლითა. თუ აუბუშტდეს დამწვარი ადგილი, ბუშტი ფრთხილად გახვრიტოს ნემსითა და წყალა გამოუშვას. თუ ასო მალიან დამწვარი და დაიარებულია, უნდა ჰექიმი მოიწვიონ და მანამდინ იარას სქლად დაადვან ფქვილი.

თუ ელი დასწვია ვისმე მრიელ ცხელის სასმლითა, უნდა დალიოს ზეთი ანუ წვენი, ბალბისა, ბრინჯისა, სელისა ანუ სხვა ლორწოიან ბალახისა.

--ცოფიანი მაღლის ნაკბენ ადგილს ასე უნდა მოექცნენ: მაშინვე იარის გვერდზედ გულის მხრივ მაგრად შემოაკრან სარტყელი, ასე რომ დაშხამული სისხლი ზევით არ ავიდეს; იარა დაჰბანონ წყლითა, ანუ შარდითა. თუ შეიძლება მოუკიდონ კოტოში და შემდეგ, როცა სისხლი შესწყდეს, იარა დაჰბანონ მაგარის ნაცარტუტითა და დასდაღონ ლიაპისითა ანუ გაცხელებული შამფურის წვერითა, ტანისამოსი, რომელსაც მოსვედრია ცოფიანი მაღლის დორბლი, უნდა დაიწვას, აგრეთვე ის ჩვრებიცა, რომელიცა სდებია იარასა. ჰექიმი ამ შემთხვევაში მიუცილებელად საჭიროა.

---

აქამდისინ არ იცოდნენ იმისთანა წამდჯლი ნიშნები, რომ წინათვე შეეტყოთ მიწის ძვრის მოახლოვება. ახლაკი ერთმა მეცნიერმა რატტი-მონტანმა ჰპოვა სარწმუნო ნიშანი მიწის ძვრისა. ის მდგომარეობს ამაში: მიწის ძვრა რომ ახლოვდება ანდამატი ჰკარგავს თავის ძალსა და თუ რკინის ნაჭერი რამ ანუ ნემსი უჭირამს, მაშინვე უშვებს.

ა. ნათიევი.

---

1 მომზადება რეინულის ძმრისა.

ორ ვედრიან ბოჩკაში, ან სხვა რამე ჭურჭელში ჩაასხით ერთი ვედრო მაგარის ღვინისა და ერთი ვედროც წყალი, მერე ჩაზდეთ მიგ პატარა ტფილი პურის ნატეხი (სმიადი არ უნდა იყოს); ბოჭკას მაგრათ არ უნდა დაუცონ, მხოლოთ გადააფარეთ ზედ ტილოს ნაჭერი და ამ გვარათ შეინახეთ რვა დღემდინ ტფილს ალაგს. რომლის შემდეგ ძმარი მზათ იქნება.

2 ვაშლის ძმარი.

აიღეთ რამდენიმე ლიტრა ვაშლი, შესწვით, კარგათ აზილეთ, ჩაზდეთ ბოჭკაში და წყალი დაასხით, ასე რომ ვაშლი სრულებით დაჰფაროს და შეინახეთ ცივს ალაგსა: ორის თვის შემდეგ კარგათ გასწურეთ ტილოში ან მაუდში, ჩაასხით ბოჭკაში და მოუმატეთ ბლომათ თაფლი, ორ კვირამდის ტფილს ალაგს დასდგით და მერე სარდაფში შეინახეთ.

3 ტარხუნის ძმარი.

ტარხუნის ფოთლები უნდა ჩაჰყაროთ ჭურჭელში, მინისა უმჯობესია, ცხარე ძმარი დაასხით, მოუმატეთ ცოტა სპირტი, ტფილს ალაგს დასდგით თხუთმეტ დღემდის; მერე გადაწურეთ და ჩაასხით ბოთლებში. ამ გვარათ მოამზადებენ ხოლმე ვარდის ძმარსაცა, მხოლოთ სპირტს არ უმატებენ.

4 სასალათო ძმარი.

აიღეთ ექვს-ექვს მისხალი: პიტნა, ქონდარი, პრასა და თუ გსურთ ნიორიც, ამას დაასხით ორი მტოფი ცხარე ძმარი, დასდგით ორის კვირით ტფილს ალაგს, მერე გადაწურეთ და ჩაასხით ბოთლებში. მწვანილი ახალი უნდა იყოს.

5 თეთრი ძმარი.

აიღეთ სამი ვედრო წყალი, ჩაასხით სამი მტოფი ცხარე არაყი (ან თეთრი ღვინო), სამი გირვანქა თაფლი, ერთი გირვანქა ქიშმიში, ერთი მისხალი კრემორტარტარი (აფთიაქში ისყიდება); ერთი კოვზი კარგი ხარდალი (გორჩიცა), გამოკრულს ჩვარში, ჩაუშვით ბოჩკაში, მერმე ჩაზდეთ მიგ პატარა ტფილი პურის ნატეხი. ბოჩკა მაგრათ დაუცვეთ და დასდგით ორის თვით ტფილს ალაგს; ორის თვის შემდეგ ძმარი მზათ იქნება.

Одобрено цензурою. Тифлисъ. 1 Февраля. 1863 г.

რედ. კერესელიძე.